პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 252 (20293) — ოთხშაბათი, 2 ნოემბერი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ეროვნული

ვიზიტი მოსკოვში

31 ოქტომბერს მოსკოვში ხანმოკლე სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლადისლავ ადამეცი.

აეროპორტში მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

▼▼

საინტერესო დიალოგი საქართველოს

კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა პარტიის ჩხოროწყუს რაიონულ კომიტეტთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტსა და ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალთან ერთად რაიონის აქტივისათვის მოაწყო დიალოგი ლენინური მუშაობის სტილის საკითხებზე.

თითოთა შეკითხვაზე გასცეს პასუხი პარტიის ჩხოროწყუს რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ყვანიამ, პარტიის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, პროფესორმა გ. ყვანიამ, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ფ. მახარაძემ. დიალოგმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მუზარველები, შოთა რუსთაველის საზოგადოების, რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების წინადადებებისა და შენიშვნების და მიწასარგებლობის კანონის დარღვევის გამოვლენილ ფაქტებთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაიუქმა თავისი 1988 წლის 25 ოქტომბრის №482 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ და შექმნა კომისია ამ საკითხის დამატებითი შესწავლისათვის.

▼▼

ამერიკელი ბიზნესმენები — საქართველოში

31 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ა. ჩხეიძემ მიიღო ამერიკის ფირმის „სეიბი კორპორეიშნის“ წარმომადგენელთა ჯგუფი მისი პრეზიდენტის დევიდ არტურ სეიბის მეთაურობით. იგი ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოვიდა შესაძლო თანამშრომლობისა და ერთობლივი საწარმოების შექმნის საკითხებზე სამინისტროებთან და უწყებებთან მოლაპარაკების მიზნით.

„სეიბი კორპორეიშნის“ წარმომადგენელთა ყოფნის პროგრამაშია საქმიანი შეხვედრები და მოლაპარაკება საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და რესპუბლიკის საგარეო-სავაჭრო გაერთიანების „საქმამეკქსის“, მშენებლობის სამინისტროს, საქალაქო სარეორტატის, რესპუბლიკის სპორტსაბჭომის, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელებთან, მოგზაურობა სოხუმში.

▼▼

სამართლებრივი საკითხები გაზეთების ფურცლებზე

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ ერთობლივ სხდომაზე განიხილეს საკითხი — სამტრედიის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, მახარაძის, ლანჩხუთის, თეძოლოს რაიონული, ფოთისა და ქიათურის საქალაქო გაზეთებში სამართლებრივი საკითხების გაშუქების გაუმჯობესებას რაიონული გაზეთების ფურცლებზე.

▼▼

უფროს პიონერხელმძღვანელთა შეკრება

რუსთაველის უფროსი პიონერხელმძღვანელები 31 ოქტომბერს შეიკრიბნენ თბილისში, რათა განიხილონ გასული ზაფხულის შედეგები, პიონერული მუშაობის გარდაქმნის გზაზე მდგომი პრობლემები და ამოცანები. ძირითადი საკითხი, რომლის ირგლივაც გაიმართა სხვა-ბაასი, ის იყო, თუ როგორ ვაქციოთ პიონერული ბანაკი მოსწავლეთა თვითმმართველობისა და შემოქმედებით ინიციატივის ნამდვილ სკოლად. პიონერხელმძღვანელებმა დისკუსიები გამართეს „ბრგვალ მაგიდებთან“, შეხვდნენ სახალხო განათლების სამინისტროს ხელმძღვანელებს, მწერლებს, ჟურნალისტებს, შეკრება 2 ნოემბრამდე გასტანს.

▼▼

„სოხუმის“ ცისფერი გზა

გათუმი. კარგი შრომითი მაჩვენებლებით ხვდება ოქტომბრის დღესასწაულს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს თბილისელი „სოხუმის“ ეკიპაჟი. მან განსაკუთრებული მონდომებით იშრომა მესამე კვარტალში, სამი შორეული რეისი მოაწყო და სამთვე დიდი გადაკვრებით შეასრულა: 103,5 და 104 და 103,7 პროცენტით.

მეზღვაურებისათვის ოქროს ფასი აქვს დროს. ამ ხნის განმავლობაში დაზოგეს 125 საათი დგომისა და სვლის დრო. 174 ტონა საწვავი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **იდგენს:**

გაუქმდეს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ბ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 31 ოქტომბერი.

გარდაქმნა და ახალგაზრდობა: მოქმედების დრო

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა მოსკოვისა და მისი ოლქის ახალგაზრდობასთან



მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლის დრეს.

საკედლ.-საკინფორმის ტელეფოტო.

დედაქალაქის ახალგაზრდობის სასახლე, სადაც საკავშირო ოლქკ სამოცდამეათე წლისთავის დღეს შეიკრიბნენ კომკავშირელები, უფრო სასახლე კი არა, ოსტატთა ქალაქია. მისი „ქუჩები“— ოსტნდები გვაცნობენ ახალგაზრდათა ინიციატივით შობილ კონკრეტულ საქმეებს. აქ ერმანეთის უზიარებენ გამოცდილებას, კამათობენ, ერთად ეძებენ გადაწყვეტის გზებს.

დღეს მათთან ერთად ამ ძიებაში, იდეების გაზიარებაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი. იგი მიდის სტენდიდან სტენდთან და საუბარში აბამს მუშებსა და სტუდენტებს, მოსწავლეებსა და მეცნიერებს. ვიღაცასთან დაინტერესებით არკვევს სამეურნეოანგარიშიანი გაერთიანების ორგანიზაციის დეტალებს, ვიღაცას ეკამათება, ვიღაცას დაინტერესებით უსმენს, ოგონლებს თავის სტუდენტურ წლებს, ტაშს უკრავს თვითმოქმედ სასკოლო სიმღერას.

„მოსკოვის კომკავშირი — საკავშირო ოლქკ 70. წლისთავის შესახვედრად“ — ამ გამოფენის ასობით ექსპონატი ტრადიციული საიუბილეო ანგარიში კი არა, ცოცხალი ნაამობია ახალგაზრდობის მოქმედ ინიციატივებზე, მისი მობილიზებული ენერგიაა, მისი პრობლემებისა და საკითხების, ძიებებისა და გადაწყვეტების ნუსხაა.

დამკვირვე კომკავშირული მშენებლობის შტაბის ექსპოზიციაში მიხეილ სერგის ძე აკნოზენ კომკავშირული შეფობის ძირითად მიმართულებებს.

3. ოხიპოვი, მოსკოვის კომკავშირული დამკვრელური მშენებლობების შტაბის უფროსი. წინათ ჩვენ რომლიმე კონკრეტული ობიექტის შეფობას ვკისრულობდით, მაგალითად, ლიბანოვის სახელობის ქარხანას, ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხანას ვეფფობდით. ახლა კი ჩვენ ვირჩევთ ახალგაზრდული მოქმედების მთელ მიმართულებას. ერთ-ერთი მთავანია ეკოლოგია. შეგვიძლია ამ გიჩვენოთ ფილმი ჩვენი ღღეკანდელი მრომითი აქციის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ გავაშენეთ ორი ახალგაზრდული პარკი, სადაც ორი ათასზე მეტი ახალგაზრდა მუშაობდა. ასეთი აქციების ამბავს ვიუწყებთ ხოლმე გაზეთით. მოდის ყველა მსუქანელი. ახლა ალაზე ბეერია ადამიანი, რომლებსაც აღელვებთ ეკოლოგიის პრობლემები და რომლებიც მზად არიან კონკრეტული წვლილი შეტანონ ბენების შენარჩუნებაში. მეორე მიმართულებაა ისტორია და კულტურის ძეგლთა დაცვა. აი ახლა აქ, ჩვენთან არიან ამ მოძრაობის წარმომადგენლები.

მ. ს. გორბაჩოვი. მე ვნახე როგორ იწყებდით, იწყებდით იმით, რომ ხელიხელჩაკიდებულებმა გზა გადაუღიეთ ბულდოზერს ქირიკის პროსპექტზე.

ა. სოლოვიოვი. ახალგაზრდული გაერთიანების „პოდლინიკის“ თავმჯდომარე. ამოცანა ახლა ის არის, რომ გამოვნახოთ ძეგლების სანელმწიფო საკუთრების ლტერნატივა. ჩვენ არსებობად ასეთი გამოცდილება გვაქვს. ახლა ექსპერიმენტის სახით გვსურს მოვსინჯოთ იგი სოლოვეცკის კუნძულებზე. ეს სერიოზული სოციალური პროექტია.

მ. ს. გორბაჩოვი. რას ამირებთ ამ კუნძულებზე?

ხმა. უკვე ზედიზედ მეორე ზაფხულია ვაწყობთ იქ ექსპედიციებს.

მ. ს. გორბაჩოვი. რესტავრაცია?

ა. სოლოვიოვი. დიახ, და ამისათვის ექმნით საკონსულტაციო საბჭოს...

ხმა. მეორე. ექსპედიცია მოვაწყვეთ ქალაქ ალექსანდროვში. იქ იყო დაბა, სადაც ივანე მრისხანე 17 წელიწადს ცხოვრობდა. იქ დგას მონასტრები, რომლებიც მოლიანად ინგრევა. ეს კარგად ჩანს სტენდის ფოტოსურათებზე.

ხმა. ჩვენი აზრით, თითოეულ ძეგლს უნდა ჰყავდეს კონკრეტული პატრონი. ესა თუ ის ძეგლი შეიძლებოდა მიგვეცა ენთუზიასტებისათვის, ჩვენთვის, მაგალითად.

მ. ს. გორბაჩოვი. რას ნიშნავს, თქვენ მოგცეთ?

ხმა. თუნდაც არენდით...

რ. მ. გორბაჩოვი. მათ უნდათ თვითონ გაკეთონ.

ხმა. ჩვენ წინადადებას ვიძლევით ძეგლის გარშემო აღვადგინოთ მისი თანამედროვე ისტორიული გარემო. არიან სპეციალისტები, ახალგაზრდები, რომლებიც წვლილს და ყველფერს გაკეთებენ, სარესტავრაციო საქმეებიათვის დაწყებული და უფრედ ხელობათა აღორძინებით დამთავრებული. ძეგლმა უნდა იცოცხლოს, ხომ მართალია? ჩვენი შრომითი ინიციატივის ასოციაცია სწორად შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს გამონახონ სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც ხარკს ასხამს, აი, ასეთი იდეებს.

ხმა. დახმარება გაუწიონ ინიციატივის რეალიზაციაში.

მ. ს. გორბაჩოვი. მე ვფიქრობ, მოსკოველმა ახალგაზრდობამ ხელი მოკიდეს დიდმნიშვნელოვან საქმეს — შეინარჩუნონ მოსკოვის და მის ირგვლივ არსებული ძეგლები. თავის დროზე ისინი გვარიანად ანგრიეს. ახლა ის, რაც „არია“, უნდა აღვადგინოთ. ვფიქრობ, აქ ყველა ვარიანტი გამოდგება.

კომკავშირელთა თხოვნით მიხეილ სერგის ძე ექსპოზიციის შთამბეჭდილებათა წიგნში წერს: „მხურვალედ მივესალმები თქვენს ინიციატივას“.

— სიტყვა „თქვენს“ დიდი ასოთი დავწერ, — დასძენს მიხეილ სერგის ძე.

— იცით, ამ საქმეში ვლინდება თითქოსა ცოცხალი კაეშირი. ვიღაცას უნდა მოგვაწყვიტოს წარსული, აკოოდ, რაც უკან დარჩა, ყველფერი წვიდეა და მნიშვნელოვნა ალარა აქვსო. ტყუილია ეს. თუ იკარგება თაობათა კავშირი, იხარეცა საზოგადოება. კულტურის თითოეული შრე, ცივილიზაციის თითოეული შრე და თითოეული ახალი თაობა უნდა იდგეს მყარ ნიადაგზე. ფარსულისადმი აგდებული დამოკიდებულება ყოველთვის უზარმაზარ ზეიმობრივ დანაკარგს იწვევს. ასე იყო დღეს, ასე იქნება ხვალაც. ადამიანი, რომლის სული და გული მმართველია ადამიანებისადმი, არ შეიძლება არ იყოს ისტორიის თანამონაწილე, იგი უნდა ეზიაროს მას, ხელახლა განიცადოს იგი. ის, რასაც თქვენ აკეთებთ, მარტო თავისი მატერიალური მხრივ როდია მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია სულიერი მხარე, ყველაზე მთავარია ხალხი. ყოჩაღ, ყმაწვილებო. წინ, წინ იარეთ და გზიდან მოაშორეთ ბუელოზერები.

ექსპოზიციაში „ახალგაზრდული შრომითი ინიციატივა — გარდაქმნა“ თვალს იტაცებს წარწერა: ექსპერიმენტული ახალგაზრდული მეგაფიდობის კომპიუტერული შემნაბი კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის მართვა.

მ. ს. გორბაჩოვი. საინტერესოა, რა არის ეს?

ექსპერიმენტული ახალგაზრდული მეგაფიდობის კომპიუტერის თავმჯდომარემ **ვ. ნოვოსელოვმა** გაბარტყი, რომ ეს საზოგადოება არა, თაობათა კავშირი დღეს მეცხოვრებთათვისაც საჭიროა. უამისოდ საზოგადოება ვერ იქნება ჯანსაღი.

მამათა და შვილთა პრობლემაზე სხა-ბაასი გულგრილს არავის ტოვებს. ხდება ხოლმე, უფროსები ბუზზეუნენ, ჭკუასაც გვასწავლიან: ისე არ ცეკვავ, თმასაც უენაურად ივარცხნი, ეს რა მოდაა...

როცა ჩვენმა ბებიებმა და პაპებმა დაინახეს, — თქვა ამბანაგობის ერთ-ერთმა წევრმა, რომ ბოდიშად დავარცხნილ თავში ჭაუკე გვაქვს, ყველფერს ჩვენი ხელით ვაკეთებთ, ჩვენთან ერთად ცხოვრება მოისურვეს. ერთმა მთაგანმა, რომელსაც ბინა შესთავაზეს ქალაქში, ცივი უარი თქვა: სახლს ავაშენებ შვილიშვილის გვერდით და იქ ვიცხოვრებ, ახალგაზრდობასთან ახლოს ყოფნა მინდაო. უნდა მოგახსენოთ, რომ სახლების ფასი, რომლებსაც ამბანაგობის წევრები აშენებენ, სავსებით მისაღები გამოდგა პენსიონერებისთვისაც კი — სულ რაღაც 1200—1300 მანეთი.

მ. ს. გორბაჩოვი. ყოჩაღ, ბიჭებო. ეს ხომ ოთხჯერ უფრო იაფია, ვიდრე სახელმწიფო ყიდის.

ახალგაზრდულმა კოოპერატივმა წელს სამპოთა მეურნეობისაგან იჯარით აიღო 25 ჰექტარი სახნავი, დაამუშავა, მოიწია მოსავალი — 2 ათასი ცენტნერი საკვები ჰარხალი, 1200 ცენტნერი კარტოფილი. ახალგაზრდები ამირებენ ბალიშებს, ბალიშებს ბარშემოტანილ საზაფხეო სახლები, საზოგადოებრივი დასასვენებელი ცენტრი, სპორტლენტი, დაგეგმილია აშენდეს სახელოსნოები, კერძოდ, მოსაპირკეთებელი კერამიკის დამზადებისათვის, რომელიც ძვეკ გამოადგებათ სახლების მოსაპირკეთებლად.

— მაკეტზე, რა თქმა უნდა, ყველფერი კარგადაა, — თქვა **მ. ს. გორბაჩოვმა,** — ყველფერი გონივრულად დაგიპროექტებიათ, მაგრამ ვინ აშენებს, სად იშოვით მასალებს?

ვ. ნოვოსელოვი. ყველფერს საკუთარი ძალებით ვაკეთებთ. ბევრი სპეციალისტი გვყავს. რაც შეეხება მასალებს, ჩვენივე ამხანაგებმა მეტად საინტერესო ნამუშევრები შემოგვთავაზეს. იაფფასიან მასალებს გამოვიყენებთ.

მ. ს. გორბაჩოვი. სახმობაზრაგებასაც კი არაფერს სთხოვთ?

ი. ალაშინი, ეკონომისტი. ვეცდებით საკუთარი ძალებით გავუძღვეთ საქმეს.

მ. ს. გორბაჩოვი. მაშასადამე, თქვენს სახლებში მხოლოდ ახალგაზრდა ოჯახები იცხოვრებენ?

ვ. ნოვოსელოვი. არავითარ შემთხვევაში. მივაწყვეთ სოციოლოგიური კვლევა, და აღმოჩნდა, რომ ამხანაგობის წევრთა 80 პროცენტს ნაკვეთი გამოუყვეს ოჯახის უფროსი წევრების ბაღვალილსწინებით. სხვათა შორის, მათ შორის საკმაოდ ბევრია ომისა და შრომის ვეტერანი.

— აი ბოლოს და ბოლოს, მთავარსაც შევეხეთ, — აღნიშნა მიხეილ სერგის ძემ. — თორემ უკვე ფფიქრობდი, რომ თაობათა კავშირი თქვენთან უკვე ისტორიას ბარდებოდა. მხედველობაში მაქვს კულტურის ძეგლის, სიძველეთა აღდგენისათვის კომკავშირული რაზმების მუშაობა. არა, თაობათა კავშირი დღეს მეცხოვრებთათვისაც საჭიროა. უამისოდ საზოგადოება ვერ იქნება ჯანსაღი.

ამ ადგილზე ამ ბრძოლებზე სხა-ბაასი გულგრილს არავის ტოვებს. ხდება ხოლმე, უფროსები ბუზზეუენენ, ჭკუასაც გვასწავლიან: ისე არ ცეკვავ, თმასაც უენაურად ივარცხნი, ეს რა მოდაა...

ალ. ალ. ... ...

გარდაქმნა და ახალგაზრდობა: მოქმედების დრო

ეროვნული

(დასასრული)

უბრალოდ აუცილებელია იმისათვის, რომ გამოვაცოცხლოთ მუშაობა, აღმოვფხვრათ ფორმალიზმი. ყველაფერი ქაღალდზეა დამოკიდებული, რომელიც გვაკლია.

ლ. ნ. ზიაკოვი. ასეთი საქმისათვის ქაღალდს ვიშოვით. საქალაქო კომიტეტმა მრავალტირაჟიან გაზეთებს ნება მისცა პერიოდულად მოამზადონ სპეციალური გამოცემები კომკავშირის ძალებით და კომკავშირისთვისაც.

მ. ს. გორბაჩოვი. ეს სწორია. საჭიროა, რომ ახალგაზრდობას ადგილებზე საკუთარი გაზეთები ჰქონდეს.

ს. ჩერნიხი. რა თქმა უნდა, თუ მოვინდომეთ, ქაღალდსაც ვიშოვით. აი ჩვენში ხელმოწერაზე ლიმიტი იყო. ახლა კი მოხსნეს. ეს ძალიან კარგი ნაბიჯია, რომელ მიზნით ის არის, რომ გარდაქმნა ნამდვილად შეუქცევადი გახდითო.

მ. ს. გორბაჩოვი. რაო, ეუბნი დაგებადათ, რომ ვიღაცას მისი შერჩევა სურს?

ს. ჩერნიხი. მარტო მე კი არა....

მ. ს. გორბაჩოვი. აი, თქვენ რომ გარდაქმნის ბედი გაწუხებთ, ეს არის მთავარი. ნუ შეიტიგებდით, თუ ვინმე სადღაც საქმეს უკან ეწევა, არ მისცეთ ამის ნება, იბრძოლეთ. აი, ამას გავლენები და გთხოვთ. რაც შეიეზა ხელმოწერის ამბავს, ეს რიიმე კონსერვატიზმის რაღაც რეციდივი ან ვინმეს ცდა კი არ იყო, პირი აეკოთ საზოგადოებისათვის, არა. ჩვენ ქაღალდის მოელ მარაგი ამოვიღეთ. რომელი ლიტერატურის გამოცემის შემცირებაც შეიძლებოდა, შევამცირეთ. კანცელარია შევკვეცეთ: წავიღეთ ქაღალდი იქიდანაც. ახლა დაესახეთ, რომ უახლოეს წლებში ქაღალდის გამოშვება 500 ათასი ტონით გავზარდოთ, როგორ საერთოდ ერთხელ და სამუდამოდ მოვხსნათ ეს პრობლემა.

ახლა ეს გადაწყვეტილება უნდა განკახორციელოთ. და უნდა ვიფიქროთ, თუ წინათ რატომ არ ხერხდებოდა დასახულის შესრულება, მუშაობა ხომ მეოცე ყრილობის შემდეგ დაიწყო? ყველაფერი კარგად მახსოვს, XXII ყრილობის დელეგატი ვიყავი, როცა ნამდვილად დიდ, მორსგამზადებულ გადაწყვეტილებებს იღებდნენ. შემდეგ ისინი თანდათან გამოშრ ე ნ ე ს. ბევრი რამ, რასაც ახლა ვაკეთებთ, იქიდან, სამოციანი წლებიდან მოდის. მაგალითად, რატომ შეფერხდა იმ წლების ეკონომიკური რეფორმა? რაშია საქმე? პასუხს თავადვე მიკარნახებთ: ყოველი ადამიანი უნდა გრძნობდეს, რომ თვითონ არის ყველაზე შემპატიანარ აკმეთი უშუალო მონაწილე.

მაშინდელი ცვლილებები კი კაბინეტებიდან, „ზემოდან“ მომდინარეობდა, და ადამიანს მაღში არ ეთმობოდა მთავარი მოქმედი პირის როლი.

ახლა იმ დასკვნამდე მივედით, რომ უნდა ვიმოქმედოთ გულახდილად, საჯაროდ, დემოკრატიულად. ხელოდ ასე გამოვიყენოთ საზოგადოებას უძრაობის მდგომარეობიდან.

როგორც თვითონ ხედავთ, პრობლემები ბლომად დაგვგროვდა. ყველანი ჩვენ გარკვეულწილად უძრაობის გაწყობილებამ მოგვიკვა. და საჭიროა თითოეულმა ადამიანმა ბოლოს ეს გაწყობილება. მაგრამ ამის ძალა მაინც ადამიანსა ადამიანებში, მის ყველა ფენაში. აი ამაში თქვენ, ახალგაზრდობა, უნდა მონაწილეობდეთ, თქვენ ხომ იზიარებთ ასეთ პოლიტიკას, მაშასადამე, უნდა მონაწილეობდეთ პოლიტიკური ცხოვრების ყველა პროცესში. კომკავშირმა თავისი სიტყვა უნდა თქვას ყოველ ეტაპზე, ეს ეს ... ...

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლ

(დასასრული)

აქვთ სურვილი ხელის ერთ დაკვრით დამლილნ დაგროვილი პრობლემები, მოიშორონ ყველაფერი და იარონ ფართო ნაბიჯით, ისუნთქონ თავისუფლად. მაგრამ ცხოვრება გაცილებით უფრო რთულია. ამისთვის მარტივი გადაწყვეტებიც არ არსებობს. ესეც უნდა გითხრათ, და ვფიქრობ, რომ ეს ეგსმით.

ჩვენი დრო რეფორულიერია. დაიწყო ღრმა ცვლილებები. ერთმანეთს ეწინააღმდეგება ძველიც და ახალიც. ორთან როგორც ერთის, ისე მეორის მოპბრენიც. ცოტა გარდაქმნის აშკარა მოწონაარმდეგე. ყველა დანარჩენისა-თვის ეს არის მთელი ცხოვრების, როგორც საკუთარი, ასევე ქვეყნის ცხოვრების ხელახლა გაარჩევის არცთუ ადვილი ხანა, არის ახალი მიდგომების, ახალი გადაწყვეტების ძიება ან დროით შემოწმებული და დღესაც ჩვენთვის საჭირო ღირებულებათა აღორძინება.

აი, რატომ მიმდინარეობს ძნელად რადიკალური, ეკონომიკური რეფორმაც. აი, რატომ არის, რომ დემოკრატიზაციის, სოციალისტური დემოკრატიის პოტენციალის გაშლის პროცესიც არც ისე ადვილად მიმდინარეობს.

აბა, შეხედეთ პარტიის, კომკავშირის, საბჭოების საქმიანობას: როგორ ძნელად მიდის აქაც საქმე, მაგრამ მაინც მიდის, მიმდინარეობს პარტიის შინაგანი ცხოვრების, კომკავშირის, საბჭოების შინაგანი ცხოვრების გარდაქმნის პროცესები. ეს ხომ მეტად სერიოზული საგნებია და ისინი ეხება მთელ ქვეყანას. ეს ყველაფერი ხომ დაკავშირებულია მრავალი წლის გამოცდილების, იმის ხელახლა შეფასებასთან, რასაც ბევრი ჩვენგანი შეეჩვია — თქვენ ნაკუნგად, ჩვენ მეტად. ისე რომ, თქვენ გარდაქმნა უფრო გაგიჭირდებათ, და თქვენი იმედი გვაქვს.

ეკონომიკაში ყველაფერი არ გამოგვდის. ბევრი რამ ადამიანების აღიზიანებს, არ მომხდარა რეალური საგრძნობი გაუმჯობესება სურსათ-საოვაგითა და საკონსუმო მომარაგებაში. ამას ემატება სამეფურნეო ბაგარიში, მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლასთან, ახალი ტექნოლოგიების ათვისებასთან და, რაც მთავარია, აზროვნების დამკვიდრებასთან სტერეოტიპების მსტგრევასთან დაკავშირებული სიძნელეები.

რას იზამ, მთელი რიგი პრობლემების გამწვავება და განწყობილებათა არაერთგვაროვნება გარდამავალ პერიოდში ბუნებრივი და გარდაუვალია. ყოველივე ამას უდა გავუძლოთ, არ შეგდრკეთ და აუცილებელად მივიყვანთო დაწყებული საქმე ბოლოდეი.

უნდა: გავაძლიერთ ბრძოლა კონსერვატიზმის, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც გვაფერხებს და უკან ქაჩავს. ეს მთავარია, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სხვა რამეც. ძლიერი ცვლილებების პერიოდში ეხედებით მერყეობას, ზოგჯერ ექსტრემიზმსაც ეკ. არიან ადამიანები, რომლებიც, სარგებლენ რა სავსებით კანონიერი მასობრივი სურვილით — რაც შეიძლება მალე გადაწყდეს ამოცანები, — აყენებენ ბარეგანულად რადიკალურ, მაგრამ თავისი არსით ბედან მოწოდებებს. ახალგაზრდობა, რომელიც გამოირჩევა თავისი ენერგიით, ყოველივე რეფოლუციურის აღქმით, უნდა ერეკეიროდეს, სად არის ნამდვილად რეფოლუციური პოლიტიკა და სად — მისი ფსევდორეფოლუციური პაროდია — ჰყვირალა, მორახარუნე, რომელიც ყალიბდება რეალობებს მოწყვეტილი და არ შეუძლია საქმით მოიტანოს ღრმა გარდაქმნები.

რა ვიღონოთ, რომ გარდაქმნის პროცესები უფრო სწრაფი ტემპით, უფრო მასშტაბურად მიმდინარეობდეს? საჭიროა საჯაროობასა და დემოკრატიზეა, საწარმოს შესახებ კანონზე დაყრდნობით, რომელიც სახავს ეკონომიკის გარდაქმნის, სამეურნეო ანგარიშის, არენდის პრინციპებზე მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ათვისების ფართო შესაძლებლობებს, კოოპერაციის შესახებ კანონზე, ყოველივე იმაზე დაყრდნობით, რამაც დემოკრატიული გზადა ჩვენი ეკონომიკური ცხოვრება, იმაზე დაყრდნობით, რაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ პროცესში, საბჭოების, მართვის ორგანოების გარდაქმნაში მიმდინარეობს, ყოველივე იმის გამოყენებით, რაც გარდაქმნამ მოგვცა, ხელი მოგვიდოთ კონკრეტულ საქმეებს თითოეულ შრომითს კოლექტივში, თითოეულ ქალაქში, თითოეულ სოფელში, თითოეულმა დაეკავოთ ზუსტი პოზიცია. ბრძანებები საქმეს ვერ უშველის. პაერში გამოკიდება ახალი დარეექტივები, მოწოდებები, ლოზუნგები, თუ ისინი დაკავშირებული არ არის ადამიანთა სოციალური აქტიურობის ზრდასთან.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი როდი გადაწყვეტილი. იქნებ ისიც კი, რაც გადაწყვეტილი, გადავაკეთოთ. მაგრამ დღეს უკვე ბევრი რამ გვაქვს იმისათვის, რომ მტკიცედ და მკვეთრად შევცვალოთ ჩვენი ეკონომიკური ცხოვრება შრომითს კოლექტივებში, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ქალაქებსა და სოფლებში, კომკავშიულ და პარტიულ ორგანიზაციებში, ყველგან.

მე ძალიან მოვწონს ვრთი მეტაფორა, უკვე გამოვიყენე იგი. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთო, რათა გარდაქმნა არ აღმოჩნდეს იმ ლოკომოტივის მდგომარეობაში, რომელსაც მხოლოდ საყვირის მიცემის ძალა შეესწავს. ჩვენ უკვე მივეკარი სიგნალი, გაისმა საყვირის ხმა, უნდა ვიიროთ წინ, რაც უნდა ძნელი და რთული იყოს ეს, დავაჩქაროთ წინსვლის ტემპი.

გარდაქმნის გზაზე არის მუხრუჭები. დიახ, ეს სწორია. მაგრამ უკვე შექმნილია ბერკეტები და ბეჭედნაზები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ წინსვლისათვის. ეს არის დემოკრატია, საჯაროობა, ეკონომიკური რეფორმა, პოლიტიკური რეფორმა, საზოგადოებრივი კონტროლი.

ჩვენი ლოკომოტივი სიჩქარეს იძენს. ღრმა ცვლილებანი ხდება ეკონომიკაში, ძალზე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ძვრები, რომლებიც შემდეგ გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე მრავალი წლის მანძილზე მომავალში.

უწონარეს ყოველისა ჩვენ განუხრელად ვაფიქსირ ჩვენი ეკონომიკის ხელახალ ორიენტირებას ადამიანთა საარსებო პრობლემების დაგეგმვისათვის. ამიტომ ყველა სიძელის მიუხედავად, ჩვენ გამოვნახეთ საშუალებანი, რათა დავაფინანსოთ ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, მეცნიერების ახალი დიდი პროგრამები, რათა გავაფართოოთ სანინაო მშენებლობის ტემპი. აქედან გამომდინარეობს ჩვენი უდიდესი ძალისხმევა აგარარული სექტორისათვის სათანადო დინამიკის მისანიშნებლად და გასავითარებლად.

ამ წლიდან დაწყებული, უკვე იძლევა პირველ შედეგებს საკმარისს წარმოებისა და მომსახურების ზრდის პროგრამა. პირველად მრავალი წლის განმავლობაში სრულდება გეგმები და მათი ზრდა 20 მილიარდ მანეთს აღემატება.

ჯერ კიდევ ძალზე ზორსა ვართ ძირეული ცვლილებებისაგან, მაგრამ საქმე სწორი მიმართულებით წარიმართა. რა არის ჩვენი ჩანაფიქრი, რის იმედი გვაქვს, რას ემყარება ჩვენი რწმენა, რომ გარდაქმნა მაინც შეისახმს ზორცს?

ეს დიდი და მთავარი საკითხია. ლენინის მიერ შემოშავებული სოციალისტური პრინციპების სერიოზული დეფორმაციის შედეგად ეკონომიკის სფერაში ადამიანის დაბრუნების პროცესი, პოლიტიკური პროცესი, ეს იგი საკუთრებისაგან, წარმოების საშუალებებისაგან, პოლიტიკური და კულტურული პროცესისაგან ადამიანის გაუცხოების პრობლემა — ყოველივე ეს რომელიღაც ეტაპზე შეჩერდა. დაგასქოთა მბრძანებლურმა მეთოდებმა, ადმინისტრირებამ, ფართო უფლებები მიიღო ბიუროკრატიულმა აპარატმა, და ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა არა მარტო განვითარების ტემპზე, არამედ ჩვენი საზოგადოების სახეზეც.

ჩვენ დემოკრატიისა და საჯაროობის შეგრეხით, ეკონომიკური რეფორმის მეშვეობით, პოლიტიკური რეფორმის მეშვეობით უნდა დავაბრუნოთ ადამიანი ყველა ამ სფეროში, როგორც მთავარი მოქმედი პირი. ეი გარდაქმნის დედაზრი.

სტალინის სიკვდილის შემდეგ ხომ არაერთგზის ყოფილა ლენინური პრინციპების აღორძინების ცდები. მაგრამ ყველა ეს ინერციაში მაშინაც კი, როცა მათ სერიოზული ცვლილებები მოჰყვებოდა, — მაინც მარცხდებოდა. უწონარესად იმიტომ, რომ ყველა ამ პროცესში ნამდვილად არ ემბეჭდოდა ნალხი.

აი, რატომ არის, ამხანაგებო, რომ ჩვენ უნდა გაგვეცნინებინა ლენინის ყველაზე მნიშვნელოვანი დებულება: სოციალიზმი — ეს არის „მასების ცოცხალი შემოქმედება“.

აი, რატომ არის, რომ, თუ დაუკვირდებით ყველა ჩვენს გადაწყვეტილებას, დაინახავთ: მათი მთავარი ღერძია საზოგადოების დემოკრატიზაცია, ჩვენი წყობილების პოტენციალის გამოვლენა მთელი ცხოვრების დემოკრატიზაციის მეშვეობით. ამიტომაც ვამბობთ: ეკონომიკური — მეტი სოციალიზმი. ეს სიტყვებიც თამამი არ არის, ეს ჩვენი პოლიტიკური ჩანაფიქრია, რომელსაც დღეს ხორცს ვასხამთ.

აი, რატომ არის, რომ ეკონომიკური რეფორმის შემდეგ, რომელის სფეროვანი ხდება წარმოებებით ურთიერთობის რეფორმირება, ადამიანიც სამეურნეო ანგარიშის მეშვიობით, საარენდო ურთიერთობის მეშვეობით, კოოპერაციის მეშვეობით უფრო ფლოდეს საკუთრებას, მართავს, ფლობს მას, განაგებს, აღვენს თავის პოტენციალს, იყენებს თავის ტალანტს. პოლიტიკური რეფორმის მეშვეობით ჩვენ ვაბრუნებთ ადამიანს პოლიტიკურ პროცესში.

მთელი ამ ჩვენი გიგანტური ჩანაფიქრის, პირდაპირ ვიტყვით, ძალზე ძნელი, მაგრამ ქვეყნისათვის ესოდენ საჭირო ჩანაფიქრის შესრულების მეორე მხარე: ჩვენ, რა თქმა უნდა, როცა ვახორციელებთ ეკონომიკისა და პოლიტიკური პროცესის რეფორმას, უნდა ვიფიქროთ მეცნიერულ და პარტიულ ორგანიზაციებისა და, ყველგან.

ეს ძალიან მოსწონს ვრთი მეტაფორა, უკვე გამოვიყენე იგი. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთო, რათა გარდაქმნა არ აღმოჩნდეს იმ ლოკომოტივის მდგომარეობაში, რომელსაც მხოლოდ საყვირის მიცემის ძალა შესწევს. ჩვენ უკვე მივეკარი სიგნალი, გაისმა საყვირის ხმა, უნდა ვიიროთ წინ, რაც უნდა ძნელი და რთული იყოს ეს, დავაჩქაროთ წინსვლის ტემპი.

გარდაქმნის გზაზე არის მუხრუჭები. დიახ, ეს სწორია. მაგრამ უკვე შექმნილია ბერკეტები და ბეჭედნაზები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ წინსვლისათვის. ეს არის დემოკრატია, საჯაროობა ჩვენს საზოგადოებაში მრავალი ნეგატიური შედეგი დატოვა. მათ შორის არის გათანაბრება, სხვისი მოიმდეოობა, სოციალური აპათია — ყოველივე ეს უნდა დავძლიოთო, და ეს უკვე ხდება ინ პროცესების საფუძველზე, რომლებიც გავიჩიეეთ ქვეყანაში.

მთელ ამ უზარმაზარ მუშაობაში ჩვენ გვჭირდება კომკავშირის მკაფიო, ზუსტი, მტაცე პოზიცია. როგორი გვინდა იყოს იგი? დღეს გავეცანი ტ. მირონენკოს ინტერვიუს და მიეგზავნ, რომ დაკსკუსია იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს კომკავშირი, როგორი უნდა იყოს ქვეყნის ახალგაზრდული მოძრაობა, ჯერ არ დამთავრებული. მაგრამ, მე მგონია, ცხადია ერთი რამ, რომ როგორც მთელი 70 წელი, ისე გარდაქმნის პირველი წლებიც გვიჩვენებს: ჩვენ გვჭირდება ახალ-გაზრდობის ისეთი პოლიტიკური ორგანიზაცია, როგორსაც წარმოადგენს კომკავშირი!

ამ ბოლო წლებში ზოგ-ზოგები მცდარ აზრს ადგენან ამის თაობაზე. მე მოგონ, კომკავშირი ისაზავდა განუზორეიელებელ ამოცანებს მოიკვას ყველა და ყველფერი. გასაგებია, რომ მისთვის სულ ერთი არ არის ორე ეკონომიკური, არც სამეურნეო, არც ყველა სხვა პრობლემა, რომლებიც ისე თუ ისე ეხება ახალგაზრდობას.

და მაინც, ახალგაზრდობის კომენსომეტრი კომკავშირი, უწონარეს ყოველისა, ახალგაზრდა კომუნისტების ორგანიზაციაა, რომლებიც ეთანხმებიან პარტიის პროგრამას, ცდილობენ მასთან ერთად გადაწყვეტონ პოლიტიკური ამოცანები, მოამზადონ ახალგაზრდა თაობა იმისათვის, რომ მან მომავალში იკისროს საზოგადოებისათვის ეს, რეფოლუციური პრაქტიკის განგრძობისათვის პასუხისმგებლობის ტვირთი. ასეთი ორგანიზაციაა, ერთხელ კიდევ ვუსვამ ხაზს, ჩვენ გვჭირდება. ვფიქრობ, დღეს რომ არ იყოს ასეთი ორგანიზაცია, ჩვენ, კომუნისტები, ყველფერს ვიღონებდით, რათა შეგვექმნა იგი. მსოფლიოში არც ერთი პოლიტიკური პარტია არ მოქმედებს ისე, რომ არ იზრუნოს თავისი მომავლისათვის, მით უმეტეს არ შეიძლება ამაზე არ იფიქრონ, არ იზრუნონ კომუნისტებმა, ნოვატორთა პარტიის, მომავლის პარტიის წევრებმა. ჩვენ მივესალმებთ ლენინურ პრინციპებზე კომკავშირის, როგორც ჩვენი ახალგაზრდობის პოლიტიკური ორგანიზაციის, მთელი ცხოვრებისა და საქმიანობის აღორძინებას, განაცხადებს!

ეს არის პირველი და ყველაზე მთავარი. მეორე. ჩვენ კომკავშირის დამოუკიდებლობის მომხრენი ვართ. დაე, იგი ნუ იქნება პარტიის ისეი ნურც სტრუქტურით, ნურც მუშაობის მეთოდებით. მესამე. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ კომკავშირი რეალურად მონაწილეობდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა პროცესში, სახალხო მეურნეობის, მთელი ქვეყნის მართვაში. მაშასადამე, ახალგაზრდობას გახსნილი უნდა ჰქონდეს ფართო გზა ხელისუფლების ყველა ორგანოში. კომკავშირი ყველა ამ ორგანოში წარმოდგენილი უნდა იყოს ნამდვილად, გადიოდეს სოციალისტური სახელმწიფოს მართვის მეთოდების დაუფლების სკოლას.

ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ სახელმწიფოში შემუშავდეს და განხორციელდეს აქტიური პოლიტიკა ახალგაზრდა თაობის მიმართ. ეიმედოვნებთ, რომ ეს იდეები და მიდგომები განსახიერდება ახალგაზრდობის შესახებ კანონში, რომლის პროექტი ახლა მზადდება თქვენი ყველაზე აქტიური მონაწილეობით.

ჩვენ მივესალმებოდით იმას, რომ არა მარტო კომკავშირული ორგანიზაციები ეკონომიკაში, არამედ უმაღლეს სასწავლებლებშიც, სკოლის კომკავშირი მოქმედებდნენ დამოუკიდებლობის, თვითმმართველობის პრინციპებით, როგორც იტყვიან, თავიანთ ხელში იღებდნენ ძალაუფლებას.

უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირმა უკვე ბევრი რამ აღმოაჩინა თავისთვის. მივესალმები მის ამ აქტიურობასა და დამოუკიდებლობას. ჩვენ, ამხანაგებო, ძალზე დაინტერესებული ვართ იმით, რომ უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირი იყოს ძლიერი, რადგან ეს ქვეყნის მომავალი ინტელიგენციაა.

ჩვენ მარტო იმის მომხრენი როდი ვართ, რომ თვითმქმედი და დამოუკიდებელი იყოს სკოლა. ჩვენ იმის მომხრენიც ვართ, რომ არტიკული ცნობილი შეკრების შემდეგ პიონერებიც უფრო დამოუკიდებელნი გახდნენ. ეს მხოლოდ მოჩვენებითია, რომ ჩვენ კეთილ საქმეს გავკეთებთ, როცა ყველა ეს ორგანიზაცია ხელით დაგვყავს. არა! უფლებები და პასუხისმგებლობა განუყოფელია.

